



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია



დასკვნა: **დ12.37211823**

თარიღი: **01/07/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დასკვნა

„2021-2023 წლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მიმდინარე წლის 29 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროექტი „2021-2023 წლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის” (შემდგომში „სტრატეგია“) მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევის და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის განვითარებასა და კეთილდღეობას. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდობის წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდობისთვის და ახალგაზრდობთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდობი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი ახალგაზრდული

პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისა და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ პრინციპებს : ახალგაზრდების მონაწილეობას, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობას, პარტნიორობას და თანამშრომლობას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, თანაბარ ხელმისაწვდომობას და ორიენტირებას გრძელვადიან შედეგებზე .

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია მხარს უჭირს წარმოდგენილ სტრატეგიის დოკუმენტს , 2020-2013 წლების სამოქმედო გეგმას და აღნიშნულ საკითხს განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარუდგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

